

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება N21**

**1 აგვისტო 2016 წ.**

**ქ. ყვარელი**

**„ყვარლის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ივლისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

**მუხლი 1**

შეტანილი იქნას ცვლილება ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ივლისის N15 დადგენილებაში „ყვარლის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ ([www.mwtsne.gov.ge](http://www.mwtsne.gov.ge) 06/07/2016 წ. 010250050.35.164.016222) და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის“ კოდექსის 47- ე მუხლის მე-14 ნაწილის „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯემალ შავერდაშვილი